ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-15/0182/192206-17

"13" 09 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №29ბ-ში (საკ. კოდი №01.10.07.003.064) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3176174 30.03.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ დემეტრე თავდადებულის ქუჩა №29ბ-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატები. ფასადებზე დამატებულია გამწოვი და საკომუნიკაციო მილები, საჰაეროები, ასევე კონდიციონერები. დამატებით მოწყობილია ღიობები. ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო ღიობების გაბარიტები. ნაწილობრივ გაუქმებულია ფასადებზე დეკორატიული ვერტიკალური ელემენტები, ხოლო ნაწილის ღებვის ფერი შეცვლილია. "ა-ზ" ფასადზე დამატებულია ლითონის კიბეები. შეცვლილია შიდა და გარე კიბის საფეხურების რაოდენობა. შენობაში დამატებულია ლითონის კონსტრუქციული ელემენტები. +0.00 ნიშნულზე „11" ღერძის გარეთ შემცირებულია ბაქანის სიგანე. „დ-ზ" „9-11" მონაკვეთში დამატებულია ლითონის კოლონები. შენობის კონტურზე მდებარე კაპიტალური კედლები ნაწილობრივ გაუქმებულია და მოწყობილია სენდვიჩ-პანელის კედლები, შეცვლილია მათი სიმაღლე. +3.00 ნიშნულზე ანტრესოლის გაბარიტი გაზრდილია და შეცვლილია მისი ნიშნული და სიმაღლე.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. ტერიტორიაზე დამატებულია გამწვანება. „1" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის საჩრდილობელი და შლაგბაუმი. „11" ღერძის გარეთ ტერიტორიაზე გაუქმებულია კიბე, კედლების ნაწილი და არ ფიქსირდება დონეთა სხვაობა.

„11-1" ფასადი: შეცვლილია რელიეფის ნიშნულები. მოწყობილია ცოკოლი. „6" ღერძთან მოწყობილია მცირე საჩრდილობელი და დამონტაჟებულია დანადგარი. „11" ღერძის გარეთ მდებარე გადახურვის ძირზე დამატებულია ლითონის ელემენტები. „11-10" მონაკვეთში კედლების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს.

„ზ-ა" ფასადი: ფასადზე სრულად არ არის ასახული რიგელები. შემცირებულია პანდუსის სიგრძე დახრის უცვლელად, ხოლო მასზე მდებარე მოაჯირი გაუქმებულია.

„ა-ზ" ფასადი: „გ" და „დ" ღერძებზე გაუქმებულია ვერტიკალური სვეტები. „დ-ზ" მონაკვეთში +0.00 ნიშნულის ქვევით დამატებულია პანდუსი, დაბალი კაპიტალური კედელი და კიბის საფეხურები. ამავე მონაკვეთში +0.00 ნიშნულის ზევით მდებარე კიბის გაბარიტი შეცვლილია, ასევე შეცვლილია მისი მოაჯირის ნახატი და კიბის ქვევით დამატებულია ლითონის სვეტები. +0.00 ნიშნულზე მდებარე ლითონის სვეტების კვეთი შემცირებულია და შეცვლილია მათი ადგილმდებარეობა. შეცვლილია კარის ტიპი. „ზ" ღერძის გარეთ სახურავის გადმოსვლა და ასევე კაპიტალური კედლების მოწყობა არ შეესაბამება საპროექტოს.

ტერიტორიაზე საპროექტო კაპიტალური ღობის ფორმა შეცვლილია, მისი ნაწილი, ასევე ტერიტორიაზე შესასვლელ ჭიშკართან დამატებით მოწყობილი პანდუსი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე მუხლის, ა.ს.კ. მე-2 მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 62-ე მუხლის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „შვიდი მითი"-ს, ქ. თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №29ბ-ში (საკ. კოდი №01.10.07.003.064) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (საწყობი – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01182192206-17 07.08.2018წ. განცხადება.
№წ-19/01182192206-17 08.08.2018წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**